

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ხელშეკრულება N

ქ. ბათუმი 2019 წელი
ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის სახით და მეორეს მხრივ სახით (შემდგომში მიმწოდებელი), (მიმწოდებლის დასახელება, უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად (სატენდერო განცხადება SPA-----, კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 50100000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

- 1.1. შესყიდვის ობიექტი: ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ტექნიკური დავალების შესაბამისად.
- 1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 1.4 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმში მდებარე მიმწოდებლის სერვის ცენტრში.
- 1.5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს _____ ლარს.
- 1.6. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

- 2.1. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
- 2.2. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს წუნდებული მომსახურების ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტენიკურ პირობებთან.
- 3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური

საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3. ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თანამშრომელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. ტექნიკური მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს ქ. ბათუმში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემთხვევაში ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება, რის შემდგომაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა, მათი ღირებულებები, აგრეთვე მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები. სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/შემოწმება პრეტენდენტის მიერ უნდა მოხდეს უფასოდ. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება და შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

4.3. შესრულებული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება- ჩაბარების აქტი უნდა შედგეს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში (საკვანძო, დეფიციტური ნაწილების შეკვეთის შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღის ვადაში).

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ გაწეული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.3. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მიღება - ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა/ინვოისი.

5.4. ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86.

5.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე ხელმომწერი პირებია: -----

6. მხარეთა ვალდებულებები:

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- 6.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;
 - 6.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
 - 6.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 2 (ორი) დღის ვადაში;
 - 6.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
 - 6.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- 6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- 6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
 - 6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
 - 6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6. ანგარიშსწორება

- 7.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ვალუტა - ლარი.
- 7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიწოდებული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 8.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.
- 8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. უფლებების გადაცემა

- 9.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. ქვეკონტრაქტორები

- 10.1. ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.
- 10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 11.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
- 11.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 11.3. თუ მიმწოდებლის მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება ან შეუსრულებლობა, გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადა გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 3 %-ის ოდენობით.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ----- ჩათვლით. ხოლო აღნიშნულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	
საიდენტიფიკაციო კოდი - 245427809	საიდენტიფიკაციო კოდი -
ტელ: (+995) (422) 27 50 23	ტელ:
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #84/86	მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
დეპარტამენტის თავმჯდომარე	
_____ ბ. ა.	